

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

სოფიკო აბულაძე

საბანკო სექტორის ადგილი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

ლელა ჯახაია

ეკონომიკის დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

ბიჭაური - 2020

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი 1. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და კრიზისის აღმოფხვრის გზები.....	8
1.1. გლობალური ეკონომიკური კრიზისი, კრიზისის სახეები და დამღევის გზები.....	8
1.2. საქართველო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს.....	18
თავი 2. საბანკო სექტორის მდგრა დობა და მისი შენარჩუნების რეალური გზები.....	28
2.1. საბანკო სექტორის მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორები.....	28
2.2. საბანკო სექტორის მდგრადობის როლი ეკონომიკის განვითარებაში.....	32
თავი 3. ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის მექანიზმები და შენარჩუნების გზები	38
3.1. საქართველოს ეროვნული ბანკის ადგილი ქვეყნის საფინანსო სისტემის მდგრადობაში	38
3.2. ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოში.....	45
3.3. ფინანსური სტაბილურობა პანდემიის (COVID-19) პირობებში.....	49
დასკვნა	59
გამოყენებული ლიტერატურა.....	61

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია საბანკო სექტორი, მისი ადგილი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობაში. პირველ რიგში საუბარია მსოფლიო ფინანსურ კრიზისზე, ასევე კრიზისის სახეებზე, გამომწვევ მიზეზებზე და აღმოფხვრის გზებზე. მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ზოგადად ფინანსური კრიზისის წარმოშობა, განვითარება, მისი როლი მსოფლიო ეკონომიკაში, აღმოფხვრის გზები, პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად რეკომენდაციები.

ასევე განხილულია მსოფლიოს დახმარების პრაქტიკა კრიზისის პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოს ანტიკრიზისული გეგმის შემუშავება და მიღებული დაფინანსებების ეფექტიანი გამოყენება.

სამაგისტრო ნაშრომში გადმოცემულია საბანკო სექტორზე მოქმედი ფაქტორები, ქვეყანაში საბანკო სექტორის სტაბილურობა პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე და პირიქით, ქვეყანაში არსებული მდგომარეობა ასევე აფერხებს საბანკო სექტორის მუშაობას. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს მდგომარეობაზე მსოფლიო კრიზისის დროს. კრიზისმა გავლენა მოახდინა პირველ რიგში ტურიზმის განვითარებაზე, მთლიან შიდა პროდუქტსა და ინფლაციაზე, რაც თავის მხრივ აისახა ეკონომიკაზე.

ნაშრომის მიზანია ნათლად გამოვკვეთოთ საბანკო სექტორის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და სტაბილურობის შენარჩუნებაში.

Annotation

The paper discusses the banking sector, its place in the sustainability of the country's economy. First of all, we are talking about the global financial crisis, as well as the types of crisis, the causes and ways to eliminate it. It is important to determine the origin of the financial crisis in general, its development, its role in the world economy, ways to eliminate it, recommendations for solving problematic issues. Here is also the practice of helping the world in times of crisis in different countries of the world. Develop an anti-crisis plan for Georgia and use the received funding effectively. The master's thesis outlines the factors affecting the banking sector, the stability of the banking sector in the country directly affects the country's economy and, conversely, the situation in the country also hinders the work of the banking sector. The paper focuses on the situation in Georgia during the global crisis. The crisis affected primarily the development of tourism, GDP and inflation, which in turn affected the economy. The aim of the paper is to clearly outline the role of the banking sector in the development of the country's economy and maintaining stability.

შესავალი

თემის აქტუალურობა. ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საქართველოს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა. როგორც ცნობილია, საფინანსო სექტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის, ვინაიდან იგი ასრულებს ყველაზე ეფექტიანი შუამავლის როლს კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის. ჩვეულებრივი კომპანიებისაგან განსხვავებით, კომერციული ბანკების ან საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების პრობლემები მყისიერად აისახება დანარჩენ ეკონომიკაზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საფინანსო სექტორის რისკების მუდმივი მონიტორინგი, როგორც ცალკე აღებული საფინანსო ინსტიტუტის, ასევე მთლიანად სექტორის დონეზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორის სისტემური რისკების შესწავლის მიზნით წელიწადში ერთხელ აქვეყნებს მის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგებს - ფინანსური სტაბილურობის ანგარიშს, სადაც სტანდარტული მაკროეკონომიკური ანალიზისგან განსხვავებით ასახულია მოვლენები, რომელთა მოხდენის ალბათობის დადგენა რთულია, მაგრამ რისკის მატერიალიზაციის შემთხვევაში უარყოფითი ზეგავლენა - არსებითი.

ეროვნული ბანკი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, 2009 წლის დეკემბრიდან, პასუხისმგებელია საფინანსო სექტორის ცალკეულ მონაწილეთა - კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობასა და რეგულირებაზე. ფინანსური სტაბილურობის მაკრო და მიკრო ასპექტების ერთი ორგანიზაციის ქვეშ მოქცევა, ფინანსური სისტემის გამართული ფუნქციონირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორად განიხილება, მაგრამ საქართველოში დღემდე არ არის შესწავლილი საბანკო სექტორის მდგრადობის როლი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაში. საყურადღებოა, რომ ფინანსური სტაბილურობის კვლევის სფეროში ბევრი პრობლემაა დაგროვილი. საქმე ის არის, რომ ადრე საფინანსო პოლიტიკის საკითხების კვლევა ფინანსური მდგრადობის

პოზიციები, ფინანსური სტაბილურობის ანალიზი და მისი უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება არ ხდებოდა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს ეკონომიკის გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე საბანკო სისტემის მდგრადი და სტაბილური განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების ანალიზი და განზოგადება და ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის და მისი მართვის სრულყოფის საფუძვლების შემუშავება.

ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველია საერთაშორისო სავალუტო ფონდის, რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის და ევროკავშირის მასალები, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური და საინფორმაციო მასალები, ეკონომიკური და ფინანსური მდგრადობისა და სტაბილურობის პრობლემებზე ქართველი და უცხოელი მეცნიერების გამოკვლევები.

სამაგისტრო ნაშრომში დასმული კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისას გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: ანალიზისა და სინთეზის, სტატისტიკური დაკვირვების, ინდექსირების, ანალოგიის, სისტემური მიდგომის და სხვ.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგად მიღებული წინადადებები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, ეკონომიკური და ფინანსური მდგრადობის პროგრამების სხვადასხვა სახელმწიფოებრივი დოკუმენტების შემუშავების დროს.

კვლევის ძირითადი შედეგები და სიახლეები. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომი „საბანკო სექტორის ადგილი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობაში“ თავისი შინაარსით, სტრუქტურით, განხილული საკითხების ანალიზით და დასკვნებით, თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემების გადაწყვეტით ერთ-ერთი პირველი ცდაა კომპლექსურად იქნეს გამოკვლეული საქართველოს საბანკო სისტემაში არსებული პრობლემები და შემუშავებულ იქნეს გარკვეული რეკომენდაციები საბანკო სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაში განსაკუთრებული როლი აკისრია საბანკო სექტორის მდგრადობას, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეროგატივას წარმოადგენს. უფრო მეტიც, ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქციაა როგორც საბანკო, ისე არასაბანკო სექტორის და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება და ზედამხედველობა. აღნიშნულს ადასტურებს არა მარტო საბანკო კანონმდებლობა, არამედ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც.

თავი 1. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და კრიზისის დაძლევის გზები

1.1. გლობალური ეკონომიკური კრიზისი, კრიზისის სახეები და დაძლევის გზები

ტერმინი გლობალური ეკონომიკური კრიზისი არის კვლავწარმოების ციკლის ერთ-ერთი ფაზა, ყველაზე მძაფრი და დამანგრეველი მდგომარეობა. ეს ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც უარესდება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, ხდება წარმოების მკვეთრი დაცემა, საწარმოებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების დროებით შეჩერება ან საერთოდ გაუქმება, კოტრდება საწარმოები, მკვეთრად იზრდება უმუშევრობა, რაც იწვევს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებას.


ეკონომიკური კრიზისი მოიცავს საკუთრივ კრიზისს, დეპრესიას, გამოცოცხლებას და აღმავლობას. განვიხილოთ მისი გამომწვევი მიზეზები და კრიზისის უარყოფითი და დადებითი მხარეები. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს ძირითადად საზოგადოებაში უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს კრიზისის ნეგატიური მხარეები. კრიზისის მასშტაბები კი დამოკიდებულია ცალსახა, ზედაპირულ და ხშირად ხელოვნურად გაზვიადებულ ინფორმაციაზე. კრიზისის უარყოფით მხარეებს აქვს თავისი დადებითი მხარეებიც: ესაა ფრიად ხელსაყრელი მომენტი ბაზარზე კონკურენტების შევიწროვებისა და გარკვეული ნიშის დაკავებისთვის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვისა და წარმოების მართვის უფრო მისაღებ ფორმებზე გადასვლისათვის, მომგებიანი მეთოდების წამოწევისა და მაქსიმალურად ეფექტური ინვესტირებისთვის. სწორედ ასეთ დროს ეყრება საფუძველი ახალ დარგებს, ხდება უკვე არსებული საწარმოო პროცესების გადასვლა ინოვაციურ მოდელებსა და ტექნოლოგიებზე.

ფინანსური კრიზისის მახასიათებელია გაცვლითი კურსის კრიზისები, სავალო კრიზისები და საბანკო კრიზისები, ან რამდენიმე კრიზისის ერთიანობა. სავალუტო კურსები, ვალები და ბანკები არიან მთავარი ფინანსური კომპონენტები, რომლებიც ხელს უწყობენ ფინანსური კრიზისის გავრცელებას ქვეყნებს შორის. მოკლედ განვიხილოთ ისინი.

საბანკო კრიზისი - გულისხმობს მდგომარეობას, რომლის დროსაც ბანკები კარგავენ გადახდისუნარიანობას. ბანკების გადახდისუნარიანობის დაკარგვაზე

მრავალი ფაქტორი მოქმედებს: პირველ რიგში მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესება, რაზეც, თავის მხრივ, როგორც უკვე აღვნიშნეთ მოქმედებს მსოფლიო კრიზისი. მოსახლეობის ფინანსური სტაბილურობის დაკარგვა გამოიწვევს მათ გადახდისუნარიანობის მკვეთრ დაცემას. ბანკების შემოსავლის დიდი ნაწილი განისაზღვრება მოსახლეობის დანაზოგების შექმნითა და ბანკისადმი თავიანთი ვალდებულებების დაფარვით. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებლები გაკოტრდებიან, ისინი სესხებს ვერ გადაიხდიან და შესაბამისად ბანკებიც ვერ გადაუხდიან თავიანთ მენაბრეებს ვალებს. სწორედ აქედან იწყება საბანკო კრიზისი, რაც, თავის მხრივ, მოქმედებს ეკონომიკის მდგრადობაზე. საბანკო სექტორის სტაბილურობას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი უკავია ეკონომიკის მდგრადობაში, რაც გამოიხატება შემდეგში: მოსახლეობის დაკრედიტება იწვევს ქვეყანაში სხვადასხვა პროექტების განვითარებას, საქმის წარმოებას, ფულადი სახსრების ინვესტირებას. ფულადი სახსრების ბრუნვა კი ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს.

ნახაზი 1.1.1



გაცვლითი კურსის კრიზისი - გამოწვეულია ეროვნული ვალუტის ღირებულების სწრაფი გაუფასურებით. კრიზისი შეიძლება მოხდეს ნებისმიერი სავალუტო რეჟიმის დროს. ისიც საბანკო სისტემის კრიზისის მსგავსად იწვევს ეკონომიკის მდგრადობის ნგრევას. მისი გავრცელების არხებს წარმოადგენს ბანკები. მსოფლიო კრიზისი პირდაპირ მოქმედებს კურსთა შორის სხვაობაზე, რაც პირდაპირ მოქმედებს ეროვნული კურსის გაუფასურებაზე. ნომინალური გაცვლითი კურსის

ცვლილებები არის აუცილებელი, რადგან ის ასახავს ქვეყნებს შორის ხარჯებსა და ფასების განსხვავებებს. მეორეს მხრივ კი ხშირი მერყეობა ხელს უშლის გრძელვადიან ინვესტიციებს, ხოლო გაცვლითი კურსის ცვლილებები ზემოქმედებენ საერთაშორისო მწარმოებლებს შორის კონკურენტუნარიანობაზე, რადგან მათ არ შეუძლიათ დარჩნენ იმ ბაზრებზე, სადაც ასეთი მკვეთი მერყეობა აღინიშნება. (7.კაკულია რ.თბილისი 2010)

სავალო კრიზისი - იწყება მაშინ, როდესაც მოსახლეობა კარგავს გადახდისუნარიანობას, ვერ ხდება შემოსავლის მიღება და ვალდებულების დაფარვა. ამ დროს მოსალოდნელია ვალების რესტრუქტურირაცია.

კრიზისის დაძლევის გზები - კრიზისის თავიდან აცილება შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია კრიზისისგან მოყენებული ზიანის მინიმუმამდე დაყვანა. შესაბამისი ღონისძიებების გატარება, სხვადასხვა მექანიზმის შემუშავება ხელს შეუწყობს კრიზისის საწყისი ფაზის შენარჩუნებას, რომელზეც კონტროლი და რეაგირება შესაძლებელი იქნება ნაკლები დანაკარგებით. კრიზისის საპასუხო ღონისძიების გატარება დამოკიდებულია მის გამომწვევ მიზეზებზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საბანკო სექტორის მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან ხელს უწყობს ეკონომიკური მდგრადობის სტაბილურობის შენარჩუნებას. კრიზისების პროგნოზირება რთულია და კიდევ უფრო მეტად რთულია კრიზისიდან თავის დაღწევის პოლიტიკის შემუშავება. კრიზისების გამომწვევი ფაქტორების გამოვლენა მხოლოდ ნაწილობრივ გვეხმარება სწორად განვსაზღვროთ ანტიკრიზისული პოლიტიკა. (5.ელიავა ლ. თბილისი 2014)

ფინანსური კრიზისები სათავეს იღებს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან, როდესაც მანქანათმშენებლობის ინდუსტრია (რომელიც საზოგადოებრივი წარმოების დომინირებად ფორმად იქცა ჯერ ცალკეულ ქვეყნებში, შემდეგ მთელს მსოფლიოში) ყოველ 7-11 წელიწადში განიცდიდა სტაგნაციას, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ იქმნებოდა გაცილებით მეტი პროდუქცია, ვიდრე რეალიზდებოდა.

მსოფლიო ეკონომიკისათვის პირველი მნიშვნელოვანი გაკვეთილი იყო XX საუკუნის 30-ანი წლების ეკონომიკური კრიზისი. ამ დროისათვის ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენდა ეკონომიკურად წამყვან, განვითარებულ სახელმწიფოს. ამ კრიზისის გამომწვევი მიზეზები დღევანდელი მსოფლიო

ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი ფაქტორებისგან განსხვავებული იყო და შედეგებიც უფრო მძიმე. კერძოდ მოსახლეობაში შემცირებული იყო მსყიდველობით უნარიანობა, რის გამოც მოთხოვნა პროდუქციაზე შემცირდა, რის გამოც დაიწყო საწარმოების, სამრეწველო კომპანიების, საბანკო სტრუქტურების გაკოტრება. 1932 წელს აშშ-ს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა თითქმის 50%-ით შემცირდა. ცალკეული სახეების მიხედვით უფრო მეტად, 80%-ით შემცირდა ავტომობილების წარმოება. 1929-1933 წლებში გაკოტრდა ათასობით სავაჭრო, სამრეწველო და ფინანსური კომპანია, ათასობით ბანკი. კორპორატიულმა დანაკარგებმა მარტო 1932 წელს შეადგინა 3 მლრდ დოლარზე მეტი, საგარეო ვაჭრობა შემცირდა 3-ჯერ და ქვეყნის ეკონომიკა დაეცა 1911 წლის დონეზე. უმუშევრობამ მოიცვა მოსახლეობის ნახევარი.(23.საინფორმაციო ანალიტიკური პორტალი,2020)

21-ე საუკუნის ეკონომიკური კრიზისის დასაწყისად მიიჩნევა აშშ-ს იპოთეკური კრიზისი, რამაც გამოიწვია საბანკო სექტორის პარალიზება, რასაც არგუმენტირებული საფუძველი გააჩნია. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს საბანკო სექტორში (ეხება აშშ-ს, რომლის ეკონომიკის მოცულობა დაახლოებით მსოფლიო ეკონომიკის მეოთხედს შეადგენდა) საკრედიტო და საინვესტიციო ფუნქციების შერწყმაა, რამაც გააადვილა იპოთეკური კრედიტების გაცემა მყარი გარანტიების გარეშე. შედეგად, მკვეთრად გაიზარდა დავალიანება ბანკების მიმართ, რამაც გაკოტრების ზღვარზე მიიყვანა არა მარტო ბანკების დიდი ნაწილი, არამედ სადაზღვევო სექტორის უმსხვილესი მოთამაშეებიც. ამ პროცესებმა პიკს 2008 წელს, კერძოდ, 12 სექტემბერს მიაღწია, როდესაც საფონდო ბირჟებზე მაქსიმალურად დაიძაბა ვითარება მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის „Lehman Brothers“-გაკოტრების მოლოდინში. აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებას მისი ლიკვიდაციის შესახებ საბანკო სისტემისთვის სავალალო შედეგები მოჰყვა. არავის აღარ სურდა სესხის გაცემა. ამის საშუალება მოესპოთ თვით იმ ქვეყნებსაც კი, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობისთვის კომერციულ კრედიტს თავისუფლად იღებდნენ. პროდუქციის ექსპორტის თუ იმპორტის დაფინანსება, წარმოების დაკრედიტებას, ხელფასის გაცემას სერიოზული პრობლემები შეექმნა.

ეკონომიკის ექსპერტებისა და პოლიტიკოსების აზრი ორად გაიყო: მათი ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საჭიროა ეკონომიკის რეგულირების მექანიზმების გაზრდა, რომელიც თავიდან ააცილებს მსოფლიოს მსგავს ნეგატიურ მოვლენას, ხოლო მეორე ნაწილი კვლავ ეკონომიკის თვითრეგულირების მომხრეა.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერები ეკონომიკის რეგულირების ახალი, ან თუნდაც უკვე ნაცადი მეთოდების გამოყენების მომხრენი არიან. ეს გაცილებით უფრო დიდი პრობლემაა ევროკავშირისათვის, რომელსაც არ გააჩნია ისტორიულად ერთიანი კონტროლის მექანიზმი და სისტემა ჯერ კიდევ შორსაა იდეალურისაგან. ამას თან ერთვის გაერთიანების შიგნით არსებული ძლიერი საფინანსო ცენტრების არსებობა, რომელთა ურთიერთობებიც სცილდება კერძო ბანკებს შორის არსებულ უბრალო კონკურენციას.

კრიზისის პერიოდში, მნიშვნელოვნად იზრდება სახელმწიფოთა როლი ეკონომიკის ფუნქციონირებაში. ყველა დარგი მოითხოვს მთავრობისგან გარკვეული დახმარების გაწევას და სუბსიდირების ხარჯზე გარკვეული დოზით ცდილობენ მდგომარეობიდან გამოსვლას. ეს, თავის მხრივ, ბიზნესს სულ უფრო მეტად ხდის დამოკიდებულს სახელმწიფოზე.

ეკონომიკურ კრიზისში, რომელიც ფინანსური კრიზისით დაიწყო, მთავარ დამნაშავედ ერთხმად გამოცხადდა ფინანსური სექტორის კონტროლის მექანიზმების არაეფექტიანობა. გაზრდილი კონკურენციისა და შესუსტებული კონტროლის მექანიზმების ფონზე გაიზარდა მაღალი რისკის შემცველი იპოთეკური სასესხო ვალდებულებების რაოდენობა და ხსენებულ ბაზარზე განცდილმა კრაშმა მსოფლიო სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებულმა ეკონომიკამ ვერ უზრუნველყო იმ პროცესების შეჩერება, რომელთა გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზიც თვითონ იყო. აღნიშნულმა ხელახლა გაააქტიურა კეინსიანური შეხედულებები და მსოფლიოს ლიდერებიც თავისუფალი ეკონომიკის სისტემის მოდერნიზაციაზე ალაპარაკა.

2008 წლიდან გახშირდა ეკონომიკური სისტემის ამ მამოძრავებელი მექანიზმის კრიტიკა და ნაკლოვანებების წინა პლანზე წამოწევა. დღევანდელი მსოფლიო წესრიგიც არ გულისხმობს აბსოლუტურად თავისუფალ ეკონომიკას, თუმცა მოსალოდნელია ამ შეფარდების ცვლილება სახელმწიფოს როლის ზრდის


სასარგებლოდ. აქ საკამათოა, თუ რა დოზით ჩარევა იქნება გამართლებული და სად გაივლის ზღვარი თავისუფალ და ნაკლებად თავისუფალ ეკონომიკებს შორის, თუმცა თანამედროვე პოლიტიკოსთა ყველა განცხადება იმაზე მეტყველებს, რომ მრავალი ლიდერი ქვეყნის მთავრობა კიდევ უფრო აქტიურ როლს შეასრულებს სახელმწიფოს ეკონომიკურ ცხოვრებაში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსოფლიოში აღიარებულ ეკონომისტთა უმრავლესობა მოცემულ მიდგომას არ ეთანხმება. ეკონომისტთა ვარაუდით, კრიზისის დაძლევის კეინსიანურმა მეთოდმა შესაძლოა კრაზი განიცადოს, რადგან სულ სხვა რეალობაში უხდება განხორციელება. სახელმწიფოს როლი თანამედროვე მსოფლიოში რამდენადმე შეცვლილია და მისი ეკონომიკაში ჩარევის მექანიზმებიც შედარებით განსხვავებული ეფექტების მატარებელია.

ახალ მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგზე მსჯელობისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მასზე საუბარი ნაადრევია, ვიდრე არ ჩამოყალიბდება საერთო წესები, რომელსაც გაიზიარებს საერთაშორისო ურთიერთობების ყველა სუბიექტი - იქნება ეს სახელმწიფო, თუ საერთაშორისო ორგანიზაციები. მიმდინარე მოვლენები იმის პროგნოზირების საფუძველს გვაძლევს, რომ ეკონომიკურად ერთპოლარული მსოფლიო წესრიგი აუცილებელ კორექციას განიცდის, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალა, დიდი ალბათობით, ნაკლებად იქნება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა.

ნახაზი 1.1.2

რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა მსოფლიოში (%)



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი WEO, 2019.


2009 წლიდან დაიწყო კრიზისის დადმავალი ტალღის შეჩერება და მსოფლიო ეკონომიკამ დაიწყო მეტნაკლები ტემპებით ზრდა. ეკონომისტები უკვე ალაპარაკდნენ აღმავლობაზე და გამოცოცხლებაზე, თუმცა ყველასათვის ერთმნიშვნელოვნად ცხადი იყო, რომ არც ზრდას და არც დადმავლობას აბსოლუტური წრფივი სახე არ ექნებოდა.

2010 წლის პირველ ნახევრამდე მართლაც შეინიშნებოდა ეკონომიკის გამოცოცხლება, თუმცა უფრო ზუსტად: შეჩერდა ეკონომიკური ვარდნა და გაჩნდა ოპტიმისტური მოლოდინები, რაც ეკონომიკაზეც აისახა. მნიშვნელოვანმა მსოფლიო ინდექსებმა დაიწყეს პერმანენტული ზრდა. მრავალი ლიბერალი და ნეოკეინსიანელი (ეკონომიკაში მთავრობის ჩარევის მომხრე) დაუპირისპირა ერთმანეთს.

2011 წელი მსოფლიო ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლით დაიწყო, თუმცა წლის მეორე ნახევარში ვითარება შეიცვალა: პროგნოზები შემცირდა, ხოლო რისკები გაიზარდა. ეკონომიკური ზრდა არათანაბარი იყო ქვეყნებს შორისაც. განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში კვლავ დაბალი ზრდის ტემპები გამოვლინდა, რაც განპირობებული იყო უმუშევრობის მაღალი დონით, არასახარბიელო ფინანსური ვითარებით და ფისკალური და ფინანსური სექტორის არასაიმედო პერსპექტივით.

ნახაზი 1.1.3

უმუშევრობა, საერთო (მთლიანი სამუშაო ძალის % შსო-ს შეფასებით)




წყარო: მსოფლიო ბანკი, 2020.

კლების ერთ-ერთი მიზეზი 2011 წლის განმავლობაში მომხდარი ისეთი ერთჯერადი შოკები იყო, როგორცაა იაპონიაში მომხდარი ცუნამი და მიწისძვრა, აგრეთვე ნავთობის მიწოდების შოკი. თუმცა მთავარი მიზეზი უფრო ფუნდამენტური იყო. განვითარებული ქვეყნების მთავრობებმა დაიწყეს ფისკალური კონსოლიდაციის პოლიტიკის გატარება ბიუჯეტის დეფიციტისა და ვალთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით, თუმცა ეს პროცესი არ არის დაბალანსებული კერძო მოთხოვნის ზრდით. ფასების ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო წლის დასაწყისში საკვებსა და ნავთობზე ფასების მომატებით. სსფ-ის მონაცემებით, ინფლაციის წლიური ზრდის ტემპმა განვითარებულ ქვეყნებში 2011 წელს 2,6%, ხოლო განვითარებად ქვეყნებში 7,5% შეადგინა, რაც მაღალია წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით.

ნახაზი 1.1.4

ინფლაცია, სამომხმარებლო ფასები (წლიური %)



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, WEO, 2019.

ევროპაში მაკროეკონომიკური მდგომარეობის გამძაფრებამ და არასტაბილურობამ დანარჩენ ქვეყნებში, საფრთხის წინაშე დააყენა მსოფლიოს კრიზისიდან გამოსვლის პროცესი. ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა, ზრდის პროგნოზები შემცირდა და რისკები გაიზარდა. აღნიშნულმა განაპირობა ევროპის ქვეყნებში სუვერენული ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რამაც გარდაუვალი გახდა ფისკალური კონსოლიდაცია. აგრეთვე, ბანკები ცდილობენ ლევერიჯის შემცირებას. აღნიშნულმა პროცესებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა რეალურ ეკონომიკურ ზრდაზე.

შესაბამისად, ეკონომიკური ზრდისთვის დაუყოვნებლივ გამოწვევას წარმოადგენდა ნდობის აღდგენა და ევროპის რეგიონის კრიზისის აღმოფხვრა. ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა საშუალოვადიანი ფისკალური დისბალანსის დაძლევა და ფინანსური სისტემის გამართულად მუშაობის ხელშეწყობა. განვითარებად ქვეყნებში კი, მოკლევადიანი პერიოდის ამოცანა იყო შიდა ზრდის შესუსტებასა და განვითარებული ქვეყნებიდან მოთხოვნის შემცირებაზე რეაგირება.

დღეს კი გვაქვს კიდევ უფრო სხვა სურათი. მსოფლიო კრიზისის უახლესი გამოვლინებაა მსოფლიოში გავრცელებული პანდემია, რომელმაც მოიცვა მთელი მსოფლიო.

„პანდემიამ მსოფლიოში ყველაზე დიდი ეკონომიკური რეცესია გამოიწვია ბოლო ასწლეულის მანძილზე. ის აყენებს უზარმაზარ ზიანს ადამიანების ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და სამუშაო ადგილებს“ - ამის შესახებ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშშია ნათქვამი. (წყარო: 24.ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ვერბგვერდი, 2020).

მსოფლიო ბანკი იმის გამო, რომ მსოფლიო ქვეყნები მუშაობენ COVID-19-ის გავრცელებისა და გავლენის შესამცირებლად, მსოფლიო ბანკის ჯგუფი სწრაფად მიდის, სწრაფი, მოქნილი პასუხების მისაღებად, რაც ხელს შეუწყობს განვითარებად ქვეყნებს განამტკიცონ პანდემიური რეაგირებისა და ჯანდაცვის სისტემები.

მომდევნო 15 თვის განმავლობაში მსოფლიო ბანკის ჯგუფი უზრუნველყოფს 160 მილიარდ დოლარამდე დაფინანსებას, რომელიც ემსახურება ჯანმრთელობის, ეკონომიკური და სოციალური შოკის ქვეყნებს, მათ შორის 50 მილიარდ დოლარს IDA-ს რესურსებს საგრანტო და მაღალი შეღავათიანი პირობებით. მსოფლიო ბანკმა დაიწყო გადაუდებელი დახმარებების გაღება, რაც ხელს უწყობდა განვითარებადი ქვეყნების სიცოცხლის გადარჩენას, კორონავირუსის გამოვლენას, პრევენციას და მათზე რეაგირებას. პროექტები ფოკუსირებულია: ლაბორატორიული აღჭურვილობის, სათვალთვალო სისტემის გაუმჯობესებისა და წინა ხაზის რეაგირების ტრენინგის საშუალებით ადგილობრივი გადაცემის პრევენციასა და შეზღუდვას. საქონელი და მომსახურება, როგორცაა ხელთათმანები, ნიღბები და პორტატული ვენტილატორები. კლინიკური მოვლის საშუალებების მშენებლობა ან გაფართოება, როგორცაა ინტენსიური თერაპიის განყოფილებების ან სტაციონარული დაწესებულებების განახლება საავადმყოფოებში და საკარანტინო დაწესებულებების მომზადება.


წყარო: (25.მსოფლიო ბანკი, 2020)

პანდემიის გავრცელებამ გაზარდა სიღარიბის ზღვარს მისული მოსახლეობის რაოდენობა. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით 2020 წლის აპრილიდან დღემდე ჩანს როგორი ტემპით იზრდება მონაცემები. COVID-19 უბიძგებს 40-დან 60 მილიონამდე უკიდურეს სიღარიბეს. მას შემდეგ, პანდემიის ეპიცენტრი ევროპიდან და ჩრდილოეთ ამერიკიდან გლობალურ სამხრეთში გადავიდა. ამან გაზარდა

დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში დაღუპულთა რიცხვი, გამოიწვია უფრო ხანგრძლივად გაჩერება და გაზარდა პანდემიის ეკონომიკური ხარჯები. შედეგად, COVID-19-მა გლობალურ სიღარიბეზე ზემოქმედების შეფასებას შეცვალა.

ნახაზი.1.1.5

COVID-19-ის გავლენა გლობალურ ექსტრემალურ სიღარიბეზე



წყარო: ლაჯნერი და სხვები.2020.

1.2. საქართველო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს

მსოფლიოში ფინანსური კრიზისის ანალიზის და საქართველოს ეკონომიკაზე მისი ზეგავლენის განსაზღვრასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ განგვეხილა ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობაზე მოქმედი ისეთი მაკროეკონომიკური ფაქტორები, როგორცაა: მთლიანი შიდა პროდუქტი(მშპ) და ინფლაცია. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, რომლებიც ასახავენ 2008 წლიდან 2020 წლის ჩათვლით პერიოდს.

ეკონომიკის რეალური სექტორის ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები არის: მთლიანი შიდა პროდუქტი(მშპ), მთლიანი პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, უმუშევრობის დონე.

მთლიანი შიდა პროდუქტი არის ყველა იმ საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება, რომელიც იწარმოება ქვეყნის შიგნით დროის მოცემულ პერიოდში. არსებობს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი.

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება მიმდინარე ფასებში ხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებული სამი მეთოდით:

1. წარმოების მეთოდით მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების სქემა:

საქმიანობის სახეობების მიხედვით პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში - საქონლისა და მომსახურების გამოშვებისათვის გამოყენებული შუალედური მოხმარება = **მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო ფასებში** + გადასახადები პროდუქციაზე და იმპორტზე - სუბსიდიები პროდუქტებზე = **მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში**.

2. გამოყენების (დანახარჯების) მეთოდით მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების სქემა:

შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები + შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიერ გაწეული ხარჯები + სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეული კოლექტიური და პერსონალური მომსახურების ხარჯები + ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება + მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება = **მთლიანი შიდა ხარჯები საბაზრო ფასებში** + საქონლისა და მომსახურების ექსპორტი - საქონლისა და მომსახურების იმპორტი = **მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში**

3. შემოსავლების მეთოდით მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების სქემა:


შემოსავალი დასაქმებიდან დარიცხული ხელფასისა და დანამატის სახით + თვითდასაქმებიდან მიღებული შერეული შემოსავალი + კომპანიების მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მთლიანი მოგება + გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე - სუბსიდიები წარმოებასა და იმპორტზე = **მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში**.(35)

წყარო: (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი არის წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობა გამოხატული მიმდინარე ფასებში.

ნახაზი 1.2.1

მშპ მიმდინარე ფასებში (მილიარდი ლარი)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი არის წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობა გამოხატული მუდმივ ფასებში. აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშება ხდება 2010 წლის ფასების მიხედვით.

ნახაზი 1.2.2

მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ 2010 წლის ფასებში (მილიარდი ლარი)




წყარო:საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.2020.

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მიმდინარე ფასებში არის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის თანაფარდობა ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასთან.

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მუდმივ ფასებში არის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის თანაფარდობა ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასთან.

ნახაზი 1.2.3

მშპ-ს რეალური ზრდა(%)



წყარო:საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტისა და მსოფლიო საფინანსო კრიზისის პერიოდში საქართველოს ეკონომიკის განვითარება არსებითად შეფერხდა წლის მეორე ნახევარში. 2008 წლის 6 თვის შემდეგ რეალური მშპ-ის ზრდის 8,7%-ანი მაჩვენებელი წლის ბოლოსათვის 2,1%-მდე შემცირდა. 2013 წლის მდგომარეობით მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: სოფლის მეურნეობა (9,%), გადამამუშავებელი მრეწველობა (8,4%), სასტუმროები და რესტორნები (7,2%), ვაჭრობა (5,1%), შინამეურნეობების მიერ პროდუქციის გადამამუშავება (5,6%), ტრანსპორტი (4,9%), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და


მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (7,5%), განათლება (4,6%), სახელმწიფო მმართველობა (3,2%), ელექტროენერჯის წარმოება (4,0%). მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა მშენებლობის დარგში (10,6%).

2010 წელს ქვეყნის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 6,2%-ს შეადგენდა, 2015 წელს კი ეს მაჩვენებელი 3,3%-მდე შემცირდა. 2018 წელს კი ეკონომიკის იმ სექტორებმა, რომლებშიც 2015 წელს საგრძნობი კლება დაფიქსირდა (ვაჭრობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა) 2018 წელს მაღალი რეალური ზრდა გამოავლინეს, რის შედეგადაც ხელი შეუწევს ეკონომიკის ზრდას. მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ტემპის ინდიკატორი გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდება რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი.

უმუშევრობის დონე გვიჩვენებს უმუშევრების რაოდენობის თანაფარდობას ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობასთან.

ნახაზი 1.2.4

უმუშევრობის დონე საქართველოში (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020.


შესაძლებელია ითქვას აღნიშნული მონაცემებით, რომ ფინანსური კრიზისი უფრო მეტად შეეხო შრომის ბაზარს. უმუშევრობის დონე 2007 წელს შეადგენდა 17,4%-ს, ხოლო 2008 წელს უკვე იზრდება და 17,9% ხდება. 2009 წელს კი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 18,3%. 2009 წლის შემდგომ იწყება უკვე მისი შემცირების ფაზა, 2018 წლის მონაცემებით 12,7 % უტოლდება.

ინფლაციის დონე მონეტარული სექტორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში საქართველო ახერხებდა ინფლაციური ზეწოლის შეკავებას ერთნიშნა მაჩვენებლის დონეზე.

2020 წელი საკმაოდ პრობლემური წელი გამოდგა ამ თვალსაზრისით. დაბალი და სტაბილური ინფლაცია ხელს უწყობს დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდას. აღნიშნული კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ისეთი გამოწვევის დროს, როგორცაა მიმდინარე პანდემია, რადგან ამ პროცესმა გრძელვადიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის სანდოობა არ უნდა შეარყიოს. 2020 წლის დასაწყისიდან COVID-19-ის გავრცელებამ მსოფლიო ეკონომიკას ძლიერი დარტყმა მიაყენა. ვირუსის გავრცელების შეკავების მიზნით კომპანიებისათვის დაწესებულმა რეგულაციებმა სხვადასხვა პროდუქტისა და მომსახურების წარმოების ხარჯები გაზარდა. შედეგად, სამომხმარებლო ფასების ზრდის ტემპი 3%-იან მაჩვენებელზე მაღალია, თუმცა შემცირების ტენდენცია აქვს. მოსალოდნელია, რომ წარმოების ხარჯების ზრდას ფასებზე ერთჯერადი გავლენა ექნება, ხოლო სუსტი ერთობლივი მოთხოვნა ინფლაციას შეამცირებს. იმის ფონზე, რომ, ჩვენი შეფასებით, ინფლაცია საშუალოვადიან პერიოდში შემცირებას განაგრძობს, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, 2020 წლის აგვისტოში საპროცენტო განაკვეთი კიდევ ერთხელ 0,25%-ული პუნქტით, 8,0%-მდე შევამცირეთ. საპროცენტო განაკვეთების შემცირება ეკონომიკას გაჯანსაღებაში დაეხმარება და ფინანსებზე ხელმისაწვდომობას გაზრდის.

ნახაზი 1.2.5

2020 წლის მე-2 კვარტალში წლიურმა ინფლაციამ 6.5% შეადგინა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი · მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, აგვისტო 2020.

კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგების ასახვა საქართველოს ეკონომიკაზე თებერვლიდან დაიწყო. ყველაზე მეტად საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, ტურისტული ინდუსტრია დაზარალდა. უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის მცირედი კლება ჯერ კიდევ თებერვალში დაფიქსირდა. მარტში, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და საზღვრების ჩაკეტვის შემდეგ ქვეყანაში უცხოელ ვიზიტორთა შემოსვლა თითქმის შეწყდა.


2020 წლის მეორე კვარტალში ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი წინა კვარტალთან შედარებით აშშ დოლარის მიმართ 7,3%-ით, ხოლო ევროსთან 7,1%-ით გაუფასურდა. ამავე პერიოდში, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კვარტალურად 2,6%-ით, ხოლო წლიურად კი 7,4%-ით გაუფასურდა. რაც შეეხება რეალურ გაცვლით კურსს, 2020 წლის მეორე კვარტალში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი კვარტალურად 2,2%-ით, ხოლო წლიურად კი 4,7%-ით გაუფასურდა. აღნიშნული გაუფასურება ძირითადად განპირობებული იყო, მიმდინარე კრიზისის ფონზე დოლარის გამყარებით განვითარებადი ქვეყნების ვალუტების მიმართ. (წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი)

კორონა ვირუსის მსოფლიო პანდემიისგან გამოწვეულმა შოკმა ასევე გავლენა მოახდინა საბაზრო ინდექსზე. საბაზრო ინფლაციამ ივნის-ივლისში ბოლო ოთხი წლის მანძილზე პირველად გადააჭარბა მთლიან ინფლაციას. ივნისში 6,2%-ს მიაღწია, ხოლო ივლისში 5,8%-მდე შემცირდა. საბაზრო ინფლაციის გაზრდის მიზეზი ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლის კურსის გაუფასურებით და

პანდემიის გამო ფირმების საოპერაციო ხარჯების ზრდით გამოწვეულ პროდუქტების გაძვირებას უკავშირდება.

ნახაზი 1.2.6

წლიური საბაზრო ინფლაციის დონე (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ივლისი, 2020.

პანდემიის გამო დღეს კიდევ გრძელდება და გაურკვეველი ხდება თუ რამდენ ხანს გაგძელდება არსებული ვითარება. ქვეყნებს შორის გადაადგილების შეზღუდვის გამო, მკვეთრად მცირდება ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები. გლობალური რეცესიის ფონზე, მცირდება საგარეო მოთხოვნა ქართულ საექსპორტო პროდუქტებზე. მკვეთრად შემცირებულმა მთლიანმა მოთხოვნამ, როგორც წესი, ფასები უნდა შეამციროს. თუმცა ამ ეფექტს პროდუქტიულობის შოკი და სახელმწიფო შეზღუდვების შედეგად გაზრდილი ხარჯები ანეიტრალებს.

მართლაც, პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი/შოკი მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა აქამდე ცნობილი ეკონომიკური კრიზისებისგან, რომლებიც ძირითადად ამა თუ იმ ეკონომიკურ ფაქტორთან ან ეკონომიკის

გარკვეულ სექტორში არსებულ შოკთან იყო დაკავშირებული. კორონავირუსის „შოკის“ სპეციფიკა და შესაბამისად, სახელმწიფოთა პრიორიტეტი ამ შემთხვევაში უკავშირდება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანების სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვას. რა თქმა უნდა, კორონავირუსით გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე.

პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა როგორც კერძო სექტორზე, ისე მოქალაქეების მდგომარეობაზე. შესაბამისად, აუცილებელი გახდა დამატებითი რესურსების მოძიება როგორც ბიზნესის, ისე მოქალაქეების პირდაპირი დახმარებებისთვის, ასევე ეპიდემიის გავრცელების პრევენციისა და დაავადებულთა მკურნალობისთვის.

თავი 2. საბანკო სექტორის მდგრადობა და მისი შენარჩუნების რეალური გზები

2.1. საბანკო სექტორის მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორები

საბანკო სისტემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკაში. საბანკო სექტორის მდგრადობა განისაზღვრება მრავალი ფაქტორით, კერძოდ, საბანკო პროდუქტებით, მომსახურებაზე ფასების ცვლილებით, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით, ფინანსური რისკების ცვლილებით, გაცვლითი კურსებით, ფინანსურ ბაზრებზე მოქმედი ფაქტორებით, სავალუტო კურსებით, ფასიან ქაღალდებზე ფასების ცვლილებით, ინფლაციის დონით. ეს ფაქტორები გავლენას ახდენენ სისტემის რაოდენობრივ მახასიათებლებზე და შეუძლიათ მისი მთლიანობის დარღვევა.

საბანკო სისტემის მდგრადობა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც საშინაო და საგარეო ფაქტორების ზემოქმედებითვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი. მდგრადობას გააჩნია ორი მნიშვნელოვანი მახასიათებელი: წონასწორობა და საიმედოობა.

წონასწორობა ეს არის დაბალანსებული მდგომარეობა. წონასწორობა არ შეიძლება ჩაითვალოს მდგრადად, მაშინ როცა აღინიშნება უწონასწორობა და ხდება დაბალანსებული მდგომარეობის დარღვევა. დინამიკურად განვითარებადი სისტემების წონასწორობის დარღვევას კრიზისს უწოდებენ. ერთი მხრივ, კრიზისი წარმოადგენს თვითრეგულირების უმნიშვნელოვანეს ელემენტს, ვინაიდან ააშკარავებს განვითარების ზღვარს, მეორე მხრივ - ბიძგია განვითარების, ასრულებს მასტიმულირებელ ფუნქციას წონასწორობის ახალ მდგომარეობაში გადასვლისათვის. მდგრადი წონასწორობა სტაბილურობის ერთ-ერთი შემადგენელია.

მდგრად წონასწორობაში იგულისხმება სისტემის უნარი, შეინარჩუნოს წონასწორობის მდგომარეობა ზემოქმედების შემდეგ ან მცირე გადახრების შემდეგ დაუბრუნდეს პირვანდელ მდგომარეობას.

საბანკო სისტემის მდგრადობას განსაზღვრავს ასევე საბაზრო ინფრასტრუქტურის არსებობა. ჩვეულებრივ, საბაზრო ინფრასტრუქტურად მოიაზრება მატერიალური, ტექნოლოგიური, საინფორმაციო, საფინანსო და სამართლებრივი ხასიათის სუბიექტების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ საბაზრო მექანიზმის შეუფერხებელ ფუნქციონირებას. საბანკო სისტემასთან მიმართებაში შეიძლება გამოვყოთ საბაზრო ინფრასტრუქტურის შემდეგი ელემენტები: საბანკო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა, საფინანსო ბაზრები და მათთვის დამახასიათებელი ორგანიზაციული ინფრასტრუქტურა.

საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობა, ეს არის უნარი შეასრულოს მასზე დაკისრებული დამახასიათებელი ფუნქციები და ოპერაციები, რაც თავის მხრივ ქმნის მთლიანობას, რომელიც ფუნქციონირების დროს გამოყენებულ უნდა იქნას პროცესის მოგვარებისათვის. საბანკო საქმიანობაში შექმნილი მდგომარეობიდან წარმოქმნილი რისკები კი არ უნდა აღმოიფხვრას, არამედ გაანალიზების საფუძველზე მინიმალურ სიდიდემდე უნდა შემცირდეს წინასწარ განსაზღვრული ღონისძიებების საშუალებით.

კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობა მიიღწევა იმ ეკონომიკური ნორმატივების დაცვით, რომლებსაც ეროვნული ბანკი უსაზღვრავს საბანკო სისტემას. საბანკო სტაბილურობის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. ეროვნული ბანკი რისკების გამოვლენით, მასზე მოქმედი ფაქტორებით შეიმუშავებს პოლიტიკას, რათა შენარჩუნებულ იქნეს ფინანსური მდგრადობა. ეს ნორმატივებია: კაპიტალის საკმარისობის უზრუნველყოფა, აქტივების ხარისხის ამაღლება, რისკების მართვის პრინციპების შემუშავება, დეპოზიტების დაზღვევა, სახელმწიფო რეგულირება და ა.შ.

საბანკო სისტემის მდგრადობა გულისხმობს, რომ შოკისა და სტრესის პირობებში ინარჩუნებდეს ეფექტიანობას. შენარჩუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ნდობისა და საიმედოობის მოპოვება, რაც თავის მხრივ ეფექტური მუშაობის გარანტიაა. ეს კი, თავით მხრივ, დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე: საერთო ეკონომიკურ

ფაქტორებზე, სამართლებრივ ფაქტორებზე, სახსრების მოდინების წყაროებზე მოქმედ ფაქტორებზე, საბანკო სექტორის, როგორც შიდა, ასევე გარე საქმიანობაზე მოქმედ ფაქტორებზე. ჩამოთვლილი ფაქტორები, თავის მრივ, ქმნიან სტაბილურ ეკონომიკურ გარემოს, რაც ხელს უწყობს დინამიურ წონასწორობას.

საბანკო სექტორის მდგრადობაზე დადებით გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორი, როგორცაა კომერციული ბანკების რესტრუქტურირაცია, რომელიც მიმართულია საბანკო სექტორის ფინანსური რყევის აღმოფხვრისა და მისი გადახდისუნარიანობის აღდგენისაკენ. რესტრუქტურირაცია ფინანსური სიძნელეების გადალახვის პროცესია, რომელიც კრიზისის პერიოდში იჩენს თავს. რესტრუქტურირაციის პროცესთან მაშინ გვაქვს შეხება, როდესაც საბანკო სისტემაზე მოქმედებს გარედან ეკონომიკური, პოლიტიკური და არასახარბიელო მდგომარეობა, როცა ზემოქმედებიდან წარმოქმნილი რისკების აღმოფხვრა და საბანკო სისტემის სტრუქტურის გაუმჯობესება გვსურს.

საბანკო სისტემის მდგრადობის ზრდას ასევე ხელს უწყობს სისტემურობის ბუფერი, რომელიც დგინდება ინდივიდუალურად თითოეული იმ კომერციული ბანკის მიმართ, რომელიც მიჩნეულია სისტემური მნიშვნელობის მქონედ. მნიშვნელოვანი ბანკების განსაზღვრისას სებ-ი ხელმძღვანელობს ბაზელის რეკომენდაციითა და ევროპის საბანკო უწყების გამოცემული მეთოდოლოგიით. სისტემურობის ბუფერი გამოიხატება პროცენტული პუნქტებით რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებში. სისტემურად მნიშვნელოვანმა ბანკებმა სისტემურობის ბუფერის მოთხოვნა უნდა დაიცვან ეტაპობრივად.

ცხრილი 2.1.1

ბანკი	2017	2018	2019	2020	2021
სს „თიბისი ბანკი“	0.0%	1.0%	1.5%	2.0%	2.5%
სს „საქართველოს ბანკი“	0.0%	1.0%	1.5%	2.0%	2.5%
სს „ლიბერთი	0.0%	0.6%	0.9%	1.2%	1.5%

ბანკი“					
--------	--	--	--	--	--

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2020.

ფინანსური რესურსების ოდენობა ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი ელემენტია. ფინანსური რესურსების მოზიდვას კი ზრდის ბანკის რეპუტაცია, საიმედოობა, მომსახურების ხარისხი, კონფიდენციალურობის დონე, რისკების მართვის მაღალი მექანიზმის არსებობა, გამჭვირვალობის მაღალი დონე, კონკურენცია და ა.შ.

საბანკო მდგრადობის შიდა ფაქტორებს კი მიეკუთვნება: მენეჯმენტისა და თანამშრომლების კომპეტენცია, კარგი სამუშაო გარემო, გუნდურობა, პუნქტუალობა, პასუხისმგებლობა, დასახული მიზნების განხორციელება, შედეგზე ორიენტირება და საბოლოოდ შინაგანაწესის მაქსიმალურად დაცვა და განხორციელება.

ბანკის მდგრადობისა და საიმედოობის შეფასების ყველაზე გავრცელებული მეთოდია CAMELS-ის რეიტინგი, რომელიც ეფუძნება კაპიტალის ადექვატურობას (C), აქტივების ხარისხს (A), მენეჯმენტს (M), ოპერაციების შემოსავლიანობის ხარისხს და დონეს (E), ლიკვიდობას/ლიკვიდურობას (L) და მგრძობელობა საბაზრო რისკისადმი (S). გაანგარიშება შეიძლება ჩაიწეროს აღნიშნული ფორმულით.

$$CAR_{კარ} = (C_{კაპიტალი(T1+T2)}) : (R_{რისკი-a} \text{ შეწონილი აქტივი})$$

სადაც: CAR-კაპიტალის ადექვატურობა, C-კაპიტალი, T1 და T2- ძირითადი და დამატებითი კაპიტალი, R-რისკი, a-შეწონილი აქტივი.

საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ 1988 წელს მიღებული იქნა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დგინდება კაპიტალის საკმარისობის ნორმატივის გაანგარიშების მეთოდიკა.

მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია სტაბილურობის საერთო საზომი Z ქულა. Z ქულა განისაზღვრება, როგორც $Z = (K+M)/A$ სადაც, K არის კაპიტალი, როგორც აქტივების პროცენტი, M არის მოგება, როგორც მოგების პროცენტი და A არის აქტივების დაბრუნების სტანდარტული გადახდა. Z ქულის მაღალი მაჩვენებელი აჩვენებს ინსტიტუტების დაბალ გადახდისუნარიობას.

არსებობს ასევე მერტონის მოდელი. ეს ჩვეულებრივ გამოიყენება ფინანსური ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის დასადგენად და დეფოლტის საერთო შესაძლებლობის დასადგენად.

ფინანსური სტაბილურობის კიდევ ერთი შეფასებაა სისტემური მოსალოდნელი ხარვეზები(SES), რომელიც ზომავს თითოეული ინსტიტუტის ინდივიდუალურ წვლილს სისტემურ რისკში. ეს მოდელი განსაკუთრებით კარგია იმის დასადგენად, რომელი ინსტიტუტებია სისტემურად მნიშვნელოვანი და დიდ გავლენას მოახდენს ფართო ეკონომიკაზე.

მომავალში მდგრადობის ასამაღლებლად და მომგებიანობის გასაუმჯობესებლად საჭიროა ბანკებმა გადახედონ მიმდინარე ბიზნეს პრაქტიკას, რათა შეიმუშავონ ეფექტური სტრატეგიები, რომლებიც დღეს მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება. ფასის ოპტიმიზაცია და მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა არასაკმარისია. ბანკებმა უნდა გააუმჯობესონ მომხმარებლების საერთო კმაყოფილება საიმედო და მისაღები მომსახურებით, რათა გაზარდონ მომხმარებელთა ერთგულება, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია და გავლენას ახდენს მომგებიანობაზე.

2.2. საბანკო სექტორის მდგრადობის როლი ქვეყნის

ეკონომიკის განვითარებაში

საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის მიღწევაში, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში.

საბანკო სისტემას სტრატეგიული მდგომარეობა უკავია ეკონომიკაში. მდგრადობა განისაზღვრება მრავალი ფაქტორით, კერძოდ, საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებაზე ფასების ცვლილებით, ინფლაციის დონით, საპროცენტო განაკვეთების დინამიკით, სავალუტო კურსებით, ფასიან ქაღალდებზე ფასების ცვლილებით


ვადაგადაცილებული სესხები. ამ ცვლილებათა ერთობლიობა კი განისაზღვრება მაკროეკონომიკური პარამეტრებით, როგორცაა, ბიუჯეტის დაბალანსება, საგადასახადო პოლიტიკა, სახელმწიფო საშინაო და საგარეო სესხები, საინვესტიციო აქტივობა, ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების შესაბამისობა და სხვ.

ეკონომიკის განვითარებისათვის ყველა სახელმწიფო იყენებს საკრედიტო სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებების მობილიზაციას და მათ პრაქტიკულ გამოყენებას. შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ბანკის მიერ ფულის მიმოქცევის რეგულირების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ინფლაციური პროცესების მართვას.

ნახაზი 2.2.1

ფულის მასა აგრეგატების მიხედვით პერიოდის ბოლოსთვის

(მილიარდი ლარი)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019.

თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა დეპოზიტები, რაც ხელს უწყობს საბანკო სექტორს მდგრადობის შენარჩუნებაში.

ნახაზი 2.2.2

დეპოზიტები პერიოდის ბოლოსათვის, მილიარდი ლარი




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019.

ლარის გაცვლითი კურსის მდგრადობა სხვა ქვეყნის ვალუტების მიმართ ხელს შეუწყობს ლარის სტაბილიზაციას, როგორც უკვე აღვნიშნეთ საბანკო სექტორის მდგრადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ნახაზი 2.2.3

ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან და ევროსთან



წყარო: საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური, 2019.

მოზიდული ფულადი სახსრების პრაქტიკულ გამოყენებაში იგულისხმება სწორედ ეკონომიკის განვითარებითვის სხვადასხვა სექტორების დაფინანსება, კონკრეტულად კი დაკრედიტება. მიღებული ფულადი სახსრების დაბანდება კი ხელს უწყობს სექტორის განვითარებას, დასაქმების ზრდას, ფულის ბრუნვას, შემოსავლის ზრდას, მოგების მაქსიმიზაციას. ამ ყველაფერს კი მივყავართ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ.

ცხრილი 2.2.1

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები წლის ბოლოს,

ნაშთები (მლრდ ლარი)

	2018	2019	2020 იანვარი	2020 აგვისტო
უცხოურ ვალუტაში	15.18	17.68	17.67	19.56
ზრდის ტემპი	2.3%	1.37%	-0.08%	-0.98%
ეროვნულ ვალუტაში	11.42	14.25	14.26	14.93
ზრდის ტემპი	1.38%	2.3%	0.07%	1.3%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2020.

ფულადი სახსრების დაბანდება ძირითადად უნდა მოხდეს ისეთ სექტორებზე, რომელიც გაზრდის დასაქმებულთა რიცხვს, ეს რიცხვი კი, თავის მხრივ, ამცირებს უმუშევრობის დონეს, ზრდის საშუალო შემოსავლის დონეს. 2020 წლის აგვისტოს განმავლობაში 1,26 %-ით ანუ 216.32 მლრდ ლარით გაიზარდა რეზიდენტი შიდამეურნეობების სექტორის დაკრედიტების მოცულობა და მიმდინარე წლის პირველი სექტემბრისათვის 17.32 მლრდ ლარი შეადგინა.

საბანკო სექტორის მდგრადობისათვის მნიშვნელოვანია ფულადი გზავნილები. ფულადი გზავნილების ზრდა კი ხელს უწყობს უცხოური ვალუტის შემოდინებას ქვეყანაში და ლარის კურსის სტაბილურობას.

ცხრილი 2.2.2

ფულადი გზავნილები წლის ბოლოსთვის (მლნ დოლარი)

	2018	2019	2020 იანვარი	2020 აგვისტო
ჩარიცხვა	150.9	172.3	125.6	184.2

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2020

2020 წლის აგვისტოში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 184.2 მლნ აშშ დოლარი (566.2 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 25,8%-ით მეტია 2019 წლის აგვისტოს მაჩვენებელთან შედარებით.

უნდა ვაღიაროთ, რომ საბანკო სექტორის მდგრადობის გრძელვადიან პერსპექტივაზე უარყოფითად მოქმედებს ეროვნული ვალუტის გაუფასურება, ინფლაციის ტემპის ზრდა, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპის შემცირება, მოზიდულ სახსრებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდა და ფინანსური სისტემისათვის ნდობის შემცირება, რაც დეპოზიტების გადინებით გამოიხატება. გაცვლითი კურსის გაუფასურება ლარებში გაცემულ სესხებზე უარყოფით გავლენას იქონიებს, რაც პირდაპირ იმოქმედებს საბანკო სექტორის მდგრადობაზე.

მსოფლიო საბანკო პრაქტიკა მოწმობს, რომ საბანკო სექტორის საიმედოობისა და მდგრადობის გრძელვადიანი პერსპექტივისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს დეპოზიტების დაზღვევას. დეპოზიტების დაზღვევა უკვე 146-მდე ქვეყანაში მოქმედებს. საქართველოში ფიზიკური პირების დეპოზიტები დაზღვეულია 15000 ლარის ფარგლებში თითოეული დეპოზიტორისთვის თითოეულ ბანკში. (20. დეპოზიტების დაზღვევის ეროვნული სააგენტო, 2020)

მდგრადობის შესაფასებლად არსებობს კაპიტალის საკმარისობის, შემოსავლიანობის, ლიკვიდობისა და საიმედოობის მაჩვენებლები, რომელთა შორის მთავარი ადგილი უკავია კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებელს.

როგორც ვხედავთ საბანკო სექტორის როლი საგრძნობლად დიდია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ბანკების სტრატეგიულ და სწორად მიმართულ დაკრედიტებას შეუძლია ეკონომიკა განვითარებული და სტაბილური გახადოს. უნდა მოხდეს რეალური პროექტებისა და იდეების მოძიება, დამუშავება და დაფინანსება. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი, შექმნას ისეთი ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს საბანკო სექტორის ეფექტურ მუშაობას, ხოლო ქვეყანაში არსებული შექმნილი გარემო ხელს შეუწყობს სხვადასხვა სექტორების განვითარებას, ეკონომიკურ აღმავლობას.

თავი 3. ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის მექანიზმები და შენარჩუნების გზები

3.1. საქართველოს ეროვნული ბანკის ადგილი ქვეყნის საფინანსო სისტემის მდგრადობაში

საქართველოს ეროვნული ბანკის როლის განსაზღვრისათვის საჭიროა განვიხილოთ ეროვნული ბანკის ფუნქციები, მოვალეობები, შემუშავებული პოლიტიკისა და კონტროლის მექანიზმები. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აქვთ მის საქმიანობაში ჩარევის უფლება. საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკის უფლება-მოვალეობები, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად. იგი ფლობს, მართავს და განკარგავს ქვეყნის ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს. საქართველოს ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია, მის ხელთ არსებული მარეგულირებელი და მონეტარული ინსტრუმენტებით უზრუნველყოს მასზე კანონმდებლობით დაკისრებული ძირითადი ფუნქციებისა და მიზნების შესრულება. წყარო: (13.საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონი, თბილისი, 2020)

საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობისათვის, სექტორის მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვის მიზნით ეროვნული ბანკი ზედამხედველობას უწევს საფინანსო სექტორს.

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად. იგი ფლობს, მართავს და განკარგავს ქვეყნის ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს. საქართველოს ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია, მის ხელთ არსებული მარეგულირებელი და მონეტარული

ინსტრუმენტებით უზრუნველყოს მასზე კანონმდებლობით დაკისრებული ძირითადი ფუნქციებისა და მიზნების შესრულება.

ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას. არსებობს ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები.

ცხრილი 3.1.1

ფინანსურ სტაბილურობას საქართველოში განსაზღვრავს შემდეგი ინდიკატორები (%)

		2015	2016	2017	2018	2019	2020
კაპიტალის ადეკვატურობა	საზედამხედველო კაპიტალი/ რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციები	15.3	16.7	16.0	19.2	19.1	17.0
	საზედამხედველო პირველადი კაპიტალი/ რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციები	11.7	12.0	11.6	14.2	14.11	11.8

		2015	2016	2017	2018	2019	2020
აქტივების ხარისხი	უმოქმედო სესხები (სსფ)/მთლიანი სესხები	3.3	3.2	3.7	2.4	3.0	2.2
	უმოქმედო სესხები (სებ)/მთლიანი სესხები	7.8	8.6	7.0	5.5	5.9	4.4

	სესხების სექტორალური განაწილება/მთლიანი სესხები	-	-	-	-	-	-
	რეზიდენტები	97.4	96.7	97.9	97.9	97.5	95.4
	არარეზიდენტები	2.6	3.3	2.1	2.2	2.5	4.6

		2015	2016	2017	2018	2019	2020
მოგება და მომგებიანობა	უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROA)	2.0	1.9	3.8	3.0	2.4	-7.1
	უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE)	12.2	13.7	27.6	22.6	18.0	-64.4
	საპროცენტო შემოსავალი/მთლიანი შემოსავალი	60.1	61.9	60.0	65.1	61.4	56.6
	არასაპროცენტო ხარჯი/მთლიანი შემოსავალი	48.7	52.1	53.8	52.5	51.0	55.0

		2015	2016	2017	2018	2019	2020
ლიკვიდურობა	ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები	21.3	23.5	22.2	20.8	22.9	20.0

	ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები	33.1	36.3	33.7	31.7	29.1	24.0
--	---	------	------	------	------	------	------

		2015	2016	2017	2018	2019	2020
საბაზრო რისკებისადმი მგრძობელობა	წმინდა ღია სავალუტო პოზიცია/საზედამხედველო კაპიტალი	4.4	1.8	4.8	3.1	-1.2	1.8

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2020

საქართველოს ეროვნული ბანკი მხარს უჭერს ქვეყნის მდგრად განვითარებაში ფინანსური სექტორის როლის გაძლიერებას და ამ მიზნით მწვავე, სოციალური და მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს ავითარებს. აღნიშნული ჩარჩო გულისხმობს ფინანსური სექტორისა და კაპიტალის ბაზრის მონაწილეების მიერ სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებას და მათთან დაკავშირებული რისკების მართვას, რაც მნიშვნელოვანია, როგორც ფინანსური სტაბილურობისთვის, ასევე ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის. პირველი ნაბიჯი 2017 წლის სექტემბერში მდგრად საბანკო ქსელში (sustainable banking network, SBN) გაწევრიანება იყო.

საქართველოს ეროვნული ბანკი გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის იყენებს მონეტარულ პოლიტიკას, რაც მიზნად ისახავს ფასების სტაბილურობას. ფასების სტაბილურობა კი გულისხმობს ინფლაციის ზომიერი და პროგნოზირებადი ტემპის არსებობას. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი არის ინფლაციის თარგეთირება. აღნიშნული რეჟიმი გულისხმობს ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის წინასწარ გამოცხადებას. გრძელვადიან პერიოდში ფასების ცვლილების სასურველ დონედ საქართველოში განიხილება წლიური ინფლაცია 3%-ის ოდენობით. საქართველოში ინფლაციის თარგეთირებაზე გადასვლიდან გარკვეული პერიოდის მანძილზე ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელი 3%-ზე მაღალი იყო.

ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად საქართველოს ეროვნული ბანკი საოპერაციო ორიენტირად ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიან (შვიდ დღემდე) საპროცენტო განაკვეთს იყენებს. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის მართვით ეროვნული ბანკი ზეგავლენას ახდენს ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთზე, რაც გარკვეული პერიოდის შემდეგ აისახება კომერციული ბანკების ჯერ მოკლევადიან, ხოლო შემდგომ გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებზე და საბოლოო ჯამში ერთობლივ მოთხოვნაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ინსტრუმენტებია ერთკვირიანი რეფინანსირების სესხები, რომლებიც გაიცემა კომერციულ ბანკებზე აუქციონის მეშვეობით. ეროვნული ბანკი აქტიურად იყენებს მონეტარული პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტებსაც, როგორცაა, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, ღია ბაზრის ოპერაციები სადეპოზიტო სერტიფიკატებითა და სახაზინო ფასიანი ქაღალდებით და ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი, მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები- ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები.

კომერციული ბანკების დროებითი ფინანსური სიძნელეების ან ფინანსური სახსრების მწვავე უკმარისობის შემთხვევაში, საბანკო სექტორში სისტემური პრობლემებისა და კრიზისის შესაძლო განვითარების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებზე გასცემს ბოლო ინსტანციის სესხებს. რაც უფრო ეფექტიანია ეროვნული ბანკის ინსტრუმენტები, ფასების სტაბილურობის მიღწევა მით უფრო ნაკლები საზოგადოებრივი დანახარჯითაა შესაძლებელი, შესაბამისად ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების დახვეწასა და მონეტარული გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობის ზრდაზე.

ეროვნულ ბანკს სტაბილურობის უკეთ შენარჩუნებისათვის შემუშავებული აქვს მაკროპრუდენციული პოლიტიკა, რომელიც ემსახურება ჭარბი სისტემური რისკების შემცირებას. იმისათვის, რომ მაკროპრუდენციული პოლიტიკა იყოს ქმედითი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული, საჭიროა შუალედური მიზნების დასახვა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეკომენდაციებისა და საქართველოს სპეციფიკის

გათვალისწინებით მაკროპრუდენციული პოლიტიკის ხუთი შუალედური მიზანი განსაზღვრა:

1. ჭარბი საკრედიტო ზრდისა და ლევერიჯის შემცირება და თავიდან აცილება. ლევერიჯი და კრედიტის შეზღუდვა თავის მხრივ ამცირებს ფინანსური რისკის ზრდას, კრიზისის განვითარების ალბათობას.
2. ბაზრის არალიკვიდურობისა და ვადიანობის ჭარბი შეუსაბამობის შემცირება და თავიდან არიდება.
3. პირდაპირი და არაპირდაპირი პოზიციის კონცენტრაციის შეზღუდვა.
4. არასწორი სტიმულირების სისტემური ზემოქმედების შეზღუდვა მორალური რისკის შემცირების მიზნით.
5. ფინანსური სისტემის დოლარიზაციის შემცირება.

მაკროპრუდენციული ციკლის გატარება ხდება შემდეგნაირად:



მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტებია კაპიტალის ბუფერები, რომელიც დანერგულია ბაზელ III-ის ჩარჩოს ფარგლებში. კონტრციკლური ბუფერი გამოიყენება ფინანსური სისტემის პრო-ციკლურის შესამცირებლად. დამატებითი კაპიტალის მოთხოვნა წესდება ჭარბი დაკრედიტების პერიოდში, ხოლო ამ მოთხოვნისაგან განთავისუფლება ან მისი შერბილება ხდება ფინანსური სტრესის პერიოდში.

საქართველოს ეროვნული ბანკის გონივრული საზედამხედველო პოლიტიკის გატარების შედეგად, მიმდინარე წელს პოტენციური ზარალების გასანეიტრალებლად საკმაოდ დიდი ბუფერები არსებობს და საბანკო სექტორის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება, ნათქვამია საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადებაში.

მათივე ინფორმაციით, საბანკო სექტორმა მარტის მდგომარეობით 1.2 მილიარდი ლარის სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი შექმნა და ეს რიცხვი წარმოადგენს მხოლოდ პოტენციურ (და არა რეალიზებულ) დანაკარგს. თავად რეზერვი კი, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ დანაკარგს ფაქტობრივად ექნება ადგილი, ბანკებს მომავალში საშუალებას მისცემს, თავიდან აირიდოს ფინანსური მდგრადობის რისკები.

ეკონომიკას ციკლურობა ახასიათებს და როგორც ყველა სხვა ბიზნესს, ისე საბანკო სექტორს შეიძლება ჰქონდეს როგორც მომგებიანი, ისე წამგებიანი წლები. მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკის ციკლურობა გათვალისწინებული იყოს და მომგებიანი წლების დროს ხდებოდეს საკმარისი ბუფერების დაგროვება, რათა წამგებიან წელს სექტორი შესაბამის მზადყოფნაში შეხვდეს. ეროვნული ბანკი ბოლო წლების განმავლობაში ეტაპობრივად ამკაცრებდა საზედამხედველო მოთხოვნებს და დღევანდელ გამოწვევას საბანკო სექტორი კარგად მომზადებული ხვდება.

წინა პერიოდებში საბანკო სექტორი მომგებიანი იყო. 2019 წელს ინდუსტრიის საშუალო წლიურმა მოგებამ (ROE) 20% შეადგინა, რამაც ბანკებს საშუალება მისცა კაპიტალის ადეკვატურობის ფარდობა (CAR) მაღალ დონეზე აეყვანათ. ამასთანავე ეროვნული ბანკი ბანკებს უწესებდა დამატებითი კაპიტალის მოთხოვნებს, რამაც ინდუსტრიაში საკმაოდ დიდი კაპიტალის ბუფერი შექმნა სწორედ მსგავსი სტრესული სიტუაციის გასამკლავებლად. ამავე დროს ეროვნულმა ბანკმა ჯერ კიდევ მარტში ბანკებს 1.6 მილიარდის კაპიტალი გამოუთავისუფლა და გამოთქვა მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში, კაპიტალის დამატებით გამოთავისუფლებაზე. ამ გამოთავისუფლებული კაპიტალის გარდა, არსებობს გაცილებით მეტი რეზერვი, რომელიც ბანკებს საშუალებას მისცემს მოვლენების უფრო ნეგატიურ განვითარებასაც გაუმკლავდნენ. (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019)

ეროვნული ბანკის როლი უფრო გამოიკვეთა მას შემდეგ, როდესაც ხელი შეუწყო ახალ რეფორმას (უმბერგის ახალი Bmatch სავალუტო პლატფორმა), რომლის მიზანია

სავალუტო ბაზარზე კონკურენციის გაზრდა, ბანკთაშორის ბაზარზე არასაბანკო მონაწილეებისათვის წვდომის გაადვილება, ლიკვიდობის ზრდა და უფრო მეტი გამჭვირვალობა. რეფორმის მიხედვით, ბანკები ვალდებული იქნებიან გამჭვირვალე გახადონ და ვებგვერდზე გამოაქვეყნონ მომსახურების სრული ტარიფები და სხვა პირობები. დაამუშაონ და აღასრულონ დავალებები კონფიდენციალობისა და კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვით. სავალუტო ბაზრის წესი და ახალი პლატფორმა 2020 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა. მანამდე კი ბანკებს ჰქონდათ დრო შესაბამისი ინფრასტრუქტურის გასამართად, ხოლო კომპანიებს შეეძლოთ მომსახურებაზე ხელშეკრულება ერთ ან რამდენიმე ბანკთან გაეფორმებინად.

3.2. ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის


მექანიზმები საქართველოში

ფინანსური სტაბილურობის მექანიზმების სრულყოფაზე საუბრისას, პირველ რიგში ყურადღება უნდა მივაქციოთ ქვეყნის საფინანსო პოლიტიკას. საფინანსო პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ფინანსური რესურსების მოზიდვაში, მის რაციონალურ გამოყენებაში და მიმდინარე ეკონომიკური პროცესების სწორად წარმართვაში.

ფინანსური რესურსების მოზიდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება შეიძლება ითქვას, რომ არის ინვესტიციების მოზიდვის გონივრული პოლიტიკის განხორციელება. საინვესტიციო პოლიტიკის გარეშე ქვეყნის ეკონომიკა ვერ განვითარდება, იქნება დახურული და ანტილიბერალური, რაც გამოიწვევს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხარდაჭერის დაკარგვას, უცხოური ვალუტის შემოდინების შემცირებას, ხელს შეუშლის ეროვნული მეურნეობის შემდგომ განვითარებას, გამოიწვევს შემოსავლების შემცირებას, უმუშევართა რაოდენობის ზრდას, რის საფუძველზეც ქვეყნის ეკონომიკას გაუჭირდება სტაბილურობის შენარჩუნება.

ნახაზი 3.2.1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები/მშპ (%)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019.

როგორც ვხედავთ, დღეს საქართველოში მწვავედ დგას უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემა. კაპიტალის მოზიდვასთან დაკავშირებით გათვალისწინებული უნდა იყოს, არა მარტო საკუთარი, არამედ უცხოელ პარტნიორთა ინტერესები. სახელმწიფო პოლიტიკის გავლენა საინვესტიციო კლიმატის შექმნაზე დიდ გავლენას ახდენს. უნდა შემუშავდეს ისეთი ფაქტორების ერთიანობა, რომელიც ხასიათდება მდგრადობით, რადგანაც საინვესტიციო პროცესი არის გრძელვადიანი ხასიათის, არ განიცდის ძალიან სწრაფ ცვლილებებს. ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთი მექანიზმია საინვესტიციო კლიმატის შექმნა, რომელზეც მოქმედებს ქვეყანაში არსებული ფინანსური მდგომარეობა, კერძო საკუთრება, ვალი, მომსახურება, საგადასახადო რეჟიმი, პოლიტიკური რისკები, გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ინფლაციის ტემპი, სავალუტო კურსის მდგომარეობა, საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობა და ა.შ.


სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია ქვეყნის შიგნით პრიორიტეტული დარგების განვითარება, რაც მიიღწევა პირველ რიგში, არაპრიორიტეტული დარგებისათვის მინიმალური დაკრედიტების ლიმიტების დაწესებით, მეორე, დაკრედიტება დაბალი საპროცენტო განაკვეთებით და მესამე, იმ დაწესებულებებისათვის, რომლებიც პრიორიტეტულ დარგებს აკრედიტებენ, სპეციალური პირობების შექმნა.

ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის მიღწევის მიზნით ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ეკონომიკის ზრდისათვის, ვალუტის სტაბილურობისათვის, მოსახლეობის დასაქმების რიცხვის ზრდისათვის, ოპტიმალური საგადასახადო სისტემის შექმნისათვის, საბანკო დაკრედიტების ეფექტიანი გზების შემუშავებისათვის.

საქართველოს საბანკო სისტემის მდგრადობის ხარისხი წლების მიხედვით თანდათან მაღლდებოდა, რაც მიღწეულ იქნა საბანკო სისტემაში სტრუქტურული გარდაქმნებისა და სრულყოფის, ცალკეული საბანკო დაწესებულებების სტაბილურობის, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის გაუმჯობესებით. კერძოდ, საქართველოში ჩამოყალიბდა კომერციული ბანკების აქტივების, საკრედიტო დაბანდების, მოზიდული სახსრების, ანაზრების მოცულობისა და წმინდა მოგების ზრდის ტენდენცია. სწორედ, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები შეიძლება ჩაითვალოს ფინანსური სტაბილურობის ფინანსურ მექანიზმებად.

ნახაზი 3.2.1

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ზრდა (%)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019.

ფულადი სახსრების მოზიდვას ხელს უწყობს ბანკების რეპუტაცია, საიმედოობის მაღალი დონე, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, ასევე ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ნახაზი 3.2.2


დეპოზიტები კომერციულ ბანკებში (%)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019

ნახაზი 3.2.3

საერთაშორისო რეზერვები მლრდ აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019.

მსოფლიოში ფინანსური მომსახურების სხვადასხვა სახეობების რეგულირების ორგანოების სამი მსხვილი საერთაშორისო გაერთიანება არსებობს. ესენია: საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი, სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობის ორგანოების საერთაშორისო ასოციაცია და ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაცია. თითოეული ამ სფეროს ფუნქციონირებისა და რეგულირების სპეციფიკიდან გამომდინარე, სამივე გაერთიანებას ჩამოყალიბებული აქვს შესაბამისი რეგულირების პრინციპები.

მნიშვნელოვანია, რომ კომერციული ბანკის ფინანსური ანგარიშგება მუდმივად სამართლიანად ასახავდეს ბანკის რეალურ ფინანსურ მდგომარეობას. მათ შორის, ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება ხდება აქტივების ხარისხის კუთხით. გამჭვირვალობის თვალსაზრისით, ქართული საბანკო სისტემა ერთ-ერთი საუკეთესოა და ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს შესაძლებლობა, რომ ბანკების შესახებ მიიღონ მნიშვნელოვანი და დროული ინფორმაცია.

3.3. ფინანსური სტაბილურობა პანდემიის (COVID-19) პირობებში

COVID-19-ის პანდემიამ ეკონომიკა და ფინანსური სექტორი დააზარალა, თუმცა ეროვნული ბანკისა და მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები მის გავლენას მნიშვნელოვნად ამცირებს. ეკონომიკის დაკრედიტების შენარჩუნების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა საზედამხედველო გეგმა, რომლის ფარგლებშიც ბანკებს კაპიტალის არსებული ბუფერების გამოყენების შესაძლებლობა მიეცათ. ამასთან, საკრედიტო აქტივობაზე პოზიტიურად იმოქმედებს მთავრობის მიერ გაცხადებული ანტიკრიზისული ღონისძიებებიც. იმავე კუთხით, კრიტიკული იყო კრედიტორების მიერ შეთავაზებული სესხების გადავადების პროგრამები, რომლებმაც დროებით გადახდისუუნარო მსესხებლებს ფინანსური მდგომარეობა შეუმსუბუქა.

პანდემიის გავლენით მნიშვნელოვნად შემცირდა ეკონომიკური აქტივობა და გაიზარდა ფინანსური სტაბილურობის რისკები მთელ მსოფლიოში. თუმცა კომერციული ბანკების მიერ მიღებულმა მოგებამ, ეროვნული ბანკის მიერ დამატებითი კაპიტალის დაწესებულმა მოთხოვნებმა, ბანკებს საშუალება მისცა სტრესულ

სიტუაციასთან გასამკლავებლად კაპიტალის საკმარისი ბუფერები დაეგროვებინათ. ეროვნული ბანკის მიერ ლიკვიდობის გადაფარვისა და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტების დაწესებით ხელი შეუწყო ბაზრის ლიკვიდობის უზრუნველყოფასა და ბანკების დაფინანსების წყაროების სტაბილურობას.

პანდემიით გამოწვეულმა შოკმა დიდწილად იმოქმედა ეკონომიკურ აქტივობაზე, რამაც სამუშაო ადგილების შემცირება და შემოსავლების კლება გამოიწვია. ეკონომიკის წასახალისებლად ეროვნულმა ბანკმა რიგი მაკროპრუდენციული და მიკროპრუდენციული ზომები გაატარა, რომელმაც საშუალება მისცა ბანკებს შეემცირებინათ პოტენციური ზარალი და საქმიანობა ნორმალურად გაეგრძელებინათ.

კომერციულ ბანკებს შეუმსუბუქდათ კაპიტალის მოთხოვნები, კერძოდ კი გაუქმდა კონსერვაციის ბუფერი და ნაწილობრივ პირალ 2-ის ბუფერები. ამასთან ბანკებს საშუალება მიეცათ ლარის ლიკვიდობის მართვისთვის უცხოური ვალუტის ბუფერებიც გამოიყენონ და ჯამური ლიკვიდობის მოთხოვნა მათი საშუალებით დაიცვან.

საბანკო სისტემის ლიკვიდური სახსრებით უზრუნველსაყოფად ეროვნულმა ბანკმა სვოპ ოპერაციები აამოქმედა. ასევე ამოქმედდა ლიკვიდობის ინსტრუმენტი, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებას უწყობს ხელს. აღნიშნული ინსტრუმენტით კომერციულ ბანკებს საშუალება ექნებათ სასესხო პორტფელის დაგირავების სანაცვლოდ ეროვნული ბანკიდან ლიკვიდობის მხარდაჭერა მიიღონ. ეს ვრცელდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე გაცემულ სესხებზეც, რაც ფინანსებზე წდომში ამ სექტორსაც დაეხმარება.


პანდემიამ გლობალური ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად შეამცირა. ეს ვითარება მკვეთრად განსხვავდება ადრეული გამოცდილებისგან. მისი ზეგავლენა ეკონომიკაზე სხვადასხვა გზით იგრძნობოდა, რომლის აღმოფხვრას დიდი ძალისხმევა და მრავალი წელი დასჭირდება.

ვირუსის სწრაფი გავრცელების ასაცილებლად შემოღებულმა შეზღუდვებმა ხელი შეუშალა ეკონომიკის ზრდას. იზოლაციამ, მიწოდების შემცირებამ, წარმოებისა და სერვისების შეჩერებამ მოთხოვნის სწრაფი ვარდნა მოახდინა. შემოღებულმა შეზღუდვებმა გამოიწვია ინვესტიციების შემცირება, შემოსავლების დაკარგვა, გარკვეული საწარმოების საერთოდ დახურვა, სამუშაო ადგილების შემცირება,

უმუშევართა რიცხვის ზრდა, გაიზარდა უმოქმედო სესხების წილი. შემცირდა დაკრედიტების წილი, როგორც იპოთეკური სესხების, ასევე ინდივიდუალური მეწარმეების.(ეროვნული ბანკის ვებგვერდი, 2020)

ნახაზი: 3.3.1

უმოქმედო პორტფელის წილი მილიან პორტფელში(%)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2020.

ეროვნული ბანკის მიერ პასუხისმგებლიანმა დაკრედიტების მოთხოვნების ამოქმედებამ ჭარბი დაკრედიტების ტვირთი შეამცირა, რის შედეგადაც შინამეურნეობები მიმდინარე რეცესიას შედარებით უკეთეს ფინანსურ მდგომარეობაში შეხვდნენ. სესხის მომსახურებისა და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტების დაწესებამ ხელი შეუწყო საკმარისი ბუფერების შექმნას, რომელსაც ფინანსური სტრესის გადასალახად გამოიყენებდნენ.

ეროვნული ბანკის მყისიერმა პროგრამებმა კრიზისის გავლენა შეარბილა. პროგრამებიდან აღსანიშნავია სესხების გადავადება, რომელიც მსესხებლების 70%-მა ისარგებლა პირველ ეტაპზე. აქვე აღსანიშნავია მთავრობის დახმარებები, რომლებმაც შემოსავლის გარეშე დარჩენილ მოსახლეობას მდგომარეობა გარკვეულწილად შეუმსუბუქა.

გაზრდილი საკრედიტო დანაკარგების გამო, წელს ბანკების წმინდა მოგება ნეგატიური იყოს. თუმცა აღნიშნული სოლიდური საოპერაციო შემოსავლების

გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ პანდემიის გადავლის შემდეგ ბანკები მომგებიანობას მალევე აღიდგენენ.


ეროვნული ბანკის პოლიტიკას, მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმაც შეუწყო ხელი. (წყარო: საქართველოს ბანკის მიერ გამოქვეყნებული ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, 2020. 30 ივნისი).

კვლევა. კვლევა ჩავატარეთ იმისათვის, რომ გაგვეგო, როგორი იყო საზოგადოების მიდგომა პანდემიის დროს ბანკებში საშელავათო პერიოდის დაშვების შესახებ. შესაბამისი ზომების გატარება იყო თუ არა სახელმწიფოს მიერ არსებულ სიტუაციაში დროული ქმედება. საინტერესოა მათი აზრი, ამ მძინე ფინანსური კრიზისის დროს საბანკო ვალდებულებებთან მიმართებაში.

ვინაიდან ვარ ბანკის თანამშრომელი, კვების მეთოდად გამოვიყენე უშუალო გამოკითხვის მეთოდი. გამოკვლევითვის დავიწყე ყოველი მოსული კლიენტზე ინფორმაცია მომეგროვებინა.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 87 ადამიანმა.

დიაგრამა: 3.3.1




წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით

დიაგრამაზე ნაჩვენებია, რომ გამოკითხული 87 ადამიანიდან უმეტესობა 37% (32 ადამიანი) 30-დან 45 წლამდე ასაკისაა; 32% (28 ადამიანი) 45-დან 60 წლამდე ასაკისაა;

25% (22 ადამიანი) 21-დან 30 წლამდე ასაკისაა, ხოლო 6% (5 ადამიანი) 60 წელს ზემოთ ასაკის.

დიაგრამა: 3.3.2




წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

დიაგრამა აჩვენებს, რომ გამოკითხულთა უმეტესობა 57% (50 ადამიანი) მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო 43% (37 ადამიანი) მდედრობითი სქესის წარმომადგენელი.

დიაგრამა:3.3.3

რა არის თქვენი შემოსავლის წყარო?



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

გამოკითხულთა 40%-ის (35 ადამიანი) შემოსავლის წყარო ხელფასია; გამოკითხულთა 34% (30 ადამიანი) თვითდასაქმებულია; ხოლო სეზონური საქმიანობით დაკავებულია 6% (5 ადამიანი); გამოკითხულთა 20% (17 ადამიანი) უმუშევარია და მათი შემოსავლის წყაროს სახელმწიფოს მიერ დანიშნული სოციალური დახმარება წარმოადგენს.

დიაგრამა: 3.3.4

რამდენი ხანია რაც დასაქმებული ხართ ?




წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

გამოკითხულთა 36% (31 ადამიანი) დასაქმებულია 10 წელზე მეტი ხანია; 5-დან 10 წლამდე დასაქმებულთა რაოდენობა კი 25%-ს (22 ადამიანი) შეადგენს; 1-დან 5 წლამდე დასაქმებულია 14% (12 ადამიანი); 1 წლამდე დასაქმებულთა პროცენტობა კი 6-ს შეადგენს (5 ადამიანი); საერთოდ არ არის დასაქმებული 19 %-ს (17 ადამიანი).

კითხვაზე თუ რა საქმიანობას ეწევიან, მივიღეთ მრავალ სექტორში დასაქმებულთა ნაირსახეობა: მოლარე, მუსიკოსი, პედაგოგი, საჯარო მოხელე, ხელოსანი, ბუღალტერი, ადმინისტრატორი, ექსპერტი, მიმტანი, დისტრიბუტორი, დამლაგებელი, სტუდენტი და ისეთი, რომელიც ჯერ არ არის დასაქმებული.

დიაგრამა: 3.3.5

რომელი გადასახადის გადამხდელი ხართ?




წყარო: დიაგრამა შექმნილია ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

გამოკითხულთა 87 ადამიანიდან საშემოსავლოს იხდის 45% (35 ადამიანი) ხოლო მოგების გადასახადს იხდის 26% (25 ადამიანი) და 29% (27 ადამიანი) საერთოდ არ იხდის ამგვარ გადასახადებს.

დიაგრამა: 3.3.6

ისარგებლეთ თუ არა საშელავათო პერიოდით?




წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

გამოკითხულთა 87 ადამიანიდან საშელავათო პერიოდით ისარგებლა 87%-მა (76 ადამიანი); ხოლო 13%-მა (11 ადამიანი) უარი თქვა საშელავათო პერიოდით სარგებლობისათვის.

დიაგრამა: 3.3.7

რამ განაპირობა საშეღავათო პერიოდის სარგებლობა ?




წყარო: დიაგრამა შექმნილია ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა დაკარგა შემოსავალი, შეჩერდა სამუშაო ადგილები, უმუშევართა რიცხვმა 83% (73 ადამიანი) შეადგინა, ხოლო 17% (15 ადამიანი) აგრძელებდა მუშაობას.

დიაგრამა: 3.3.8

საშეღავათო პერიოდის ორივე ტალღით ისარგებლეთ?



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

გამოკითხულთა უმრავლესობამ ორივე ტალღა ისარგებლა 55% (48 ადამიანი), მიუხედავად იმისა, რომ ხელფასი შეუნარჩუნდა 15 ადამიანს, მხოლოდ 9%-მა (8 ადამიანი) არ გადაავადა სესხი. მხოლოდ პირველი ეტაპით ისარგებლა 21% (18

ადამიანი), ხოლო პირველი ეტაპი არ ისარგებლა, მაგრამ ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო მეორე ტალღით მოუწია სარგებლობა 15% (13 ადამიანი).

დიაგრამა: 3.3.9

კმაყოფილი ხართ თუ არა საშეღავათო პერიოდის გავრცელებით?



წყარო: დიაგრამა შექმნილია ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

კითხვაზე თუ რატომ არის უკმაყოფილო გამოკითხულთა 71%, (62 ადამიანი).

პასუხი არის თითქმის მსგავსი, ერთხმად აღიარებენ რომ გაიზარდა პროცენტი და ისედაც გაუარესებული ფინანსური მდგომარეობა მთლად ცუდ მდგომარეობამდე მიჰყავს, რომელიც გაგრძელდება რამოდენიმე წელი. პანდემიით გამოწვეული უმუშევრობა მოიცავდა რამოდენიმე თვეს, ხოლო ამ პერიოდში დაგროვილი პროცენტი და მასზე დარიცხული დანამატების გადახდა წლების განმავლობაში მოუწევთ.

კითხვა: რას ისურვებდით რომ შეიცვალოს?

გამოკითხულთა უმრავლესობა კითხვაზე გვპასუხობს, „გასაგებია, რომ ასეთი მდგომარეობაა ქვეყანაში, რომელიც გამოწვეულია მსოფლიო პანდემიის გამო და სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს მაქსიმალურად შენარჩუნებული იყოს ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, ფინანსური მდგომარეობა, გასცემს სხვადასხვა სახის დახმარებას, უფასო მკურნალობას, ხელს უწყობს სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, საბანკო სისტემის მხრივ მოახერხა ვალდებულებების გადავადების დანერგვა და შეძლო პანდემიით გამოწვეული უარყოფითი გავლენის რეგულირება, მაგრამ სასურველია, რომ ზოგადად ქვეყანაში შემცირდეს გადასახადები, დასტაბილურდეს ვალუტის კურსი, ხელფასები ნაკლებად იბეგრებოდეს, ბანკებმა

შეცვალონ დაკრედიტების სისტემა, შეამცირონ საპროცენტო განაკვეთი, გაიზარდოს მუშახელზე ანაზღაურების მინიმალური ზღვარი, დამწყებ მეწარმეებზე მეტი დაფინანსების პროექტების შემუშავება, სამუშაო ადგილების გაზრდა, სამუშაო გრაფიკის შეცვლა და ა.შ. გამოკითხულთა ნაწილი კმაყოფილია არსებული მდგომარეობით, ნაწილისთვის სულერთია, ნაწილი შეცვლიდა ყველაფერს, ნაწილი კი არც არაფერს.

დასკვნა

მსოფლიო ეკონომიკის და მათ შორის თითოეული ქვეყნის განვითარება დამოკიდებულია გლობალურ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე, ნეგატიური მოვლენების გამოვლენაზე, მისი აღმოფხვრის გზების შემუშავებაზე და ეფექტურ გამოყენებაზე.

მსოფლიო ეკონომიკის ზრდისთვის მნიშვნელოვანი იყო საბანკო სექტორისათვის ნდობის აღდგენა, გრძელვადიანი ინვესტიციების ზრდა, რაც უამრავი კვლევის საფუძველზე დადგინდა. საბანკო სექტორის მდგრადობა ეფექტურად მოქმედებს ეკონომიკის ზრდაზე. საბანკო სექტორის დადებით გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: კომერციული ბანკების რესტრუქტურისა, ფინანსური საქმიანობის ზედამხედველობა, მენეჯმენტისა და პერსონალის კომპეტენცია, საბანკო პოლიტიკა, სპეციალისტების მომზადების მექანიზმები, ბანკის ტექნიკური ბაზა.

ეკონომიკის ზრდას ხელს უშლის და უარყოფითად მოქმედებს მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური ფაქტორები: არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, არაეფექტური მარეგულირებელი ბაზა, სუსტი საბაზრო დონე, სუსტი კონტროლი, მაღალი დოლარიზაცია, ლიკვიდურობის არასაკმარისი დონე, შემოსავლების შემცირება, მომსახურების ხარისხის დონის ვარდნა და მსოფლიო კრიზისი.

ქვეყანაში ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, ეკონომიკის დაკრედიტების გაზრდა, ბანკების კაპიტალიზაციის ამაღლება, რისკების შემცირება და მართვა, ხარისხის ზრდა, დეპოზიტების დაზღვევა, ეფექტური მექანიზმები საბანკო სისტემის მდგრადობის ხელშეწყობის საფუძველია.

საბანკო სექტორის მდგრადობაზე განსაკუთრებული ადგილი აქვს კომერციული ბანკების ზედამხედველობის მაღალ დონეზე აყვანას. შეიძლება გამოვყოთ შიდა ფაქტორებიც: მენეჯმენტისა და პერსონალის კომპეტენცია, საბანკო პოლიტიკა, მომზადებისა და გადამზადების სისტემა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ინფორმაციის მაღალი დონე, საერთაშორისო სტანდარტებზე მორგება, შიდა რეგულაციების სისტემა.

საბანკო სექტორზე უარყოფითად მოქმედებს არასრულყოფილი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზა, სუსტი საბანკო დისციპლინა, ლიკვიდურობის შემცირება, მომსახურების ხარისხის ვარდნა, მომხმარებლების შემცირება, დოლარიზაციის მაღალი დონე, ეროვნული ვალუტის გაუფასურება, დაკრედიტების არასწორი მიზნობრიობა.

აღნიშნული მდგომარეობის რეგულირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნული ბანკი. ეროვნული ბანკი თავისი ძირითადი ფუნქციებითა და მოვალეობებით უზრუნველყოფს ფინანსურ სტაბილურობას, რომელიც საბანკო სისტემის მდგრადობის განუყოფელი ნაწილია. ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის მიღწევის მიზნით საქართველოს ეროვნულ ბანკს აკისრია არა მარტო საბანკო სისტემის, არამედ არასაბანკო და სადაზღვევო სექტორის ზედამხედველობა და რეგულირებაც.

დღევანდელი გადასახედიდან, ქვეყანაში არსებული ფინანსური სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება შესაძლებელია თუ ქვეყანამ ინვესტიციების სფეროში გონივრული პოლიტიკა განახორციელა, რადგანაც, პირველ რიგში, სათანადო საინვესტიციო პოლიტიკის გარეშე ქვეყნის ეკონომიკის განვითარება ვერ მოხერხდება, მეორე მხრივ, უცხოური ინვესტიციების გარეშე შეუძლებელი იქნება ეროვნული მეურნეობის შემდგომი განვითარება. საინვესტიციო პროცესი არის გრძელვადიანი, გამოირჩევა სტაბილურობით, არ განიცდის სწრაფ ცვლილებებს, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის აღმავლობას და გრძელვადიანი პერიოდით შენარჩუნებას.

ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა მოწოდებულია გადაწყვიტოს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, მოსახლეობის დასაქმების ზრდა, შესაბამისი საგადასახადო სისტემის შექმნა, ზედამხედველობის მექანიზმების შემუშავება, ფულის მასის მოძრაობის ოპტიმალური დინამიკის შექმნა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება, როგორც ინფლაციური პროცესების შეჩერება, ისე წარმოების განვითარების სტიმულირება.

და ბოლოს, ფრიად მნიშვნელოვანია ფინანსურ სტაბილურობაზე როცა ვსაუბრობთ, ავღნიშნოთ, რომ მექანიზმების სრულყოფაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს საფინანსო პოლიტიკა, რომელიც მოიცავს როგორც საგადასახადო სფეროს, ასევე რეგულირების სფეროს. ამ სფეროების დახმარებით ეკონომიკის სტაბილურობის შენარჩუნებას შევძლებთ, რომელიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბანკო სექტორის მდგრადობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბაქრაძე გ.** - 2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და ინტერპრეტაციები, ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, 2014 წ. ტ. 2.
2. **ბენიძე ნ.** - საქართველოს საბანკო სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიური საკითხები 2003.
3. **გამსახურდია გ.** - „საქართველოს საბანკო სისტემის ეფექტიანობის ამაღლების გზები“. „სოციალური ეკონომიკა“, N3, თბ. 2003.
4. **გუგუშვილი თ.** - საბანკო დაკრედიტების სისტემა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში. 1998, გვ. 95-97.
5. **ელიავა ლ.** - საბანკო კრიზისების პროგნოზირება. თბილისი, 2014.
6. **კაკულია რ. ბახტაძე ლ., კანდელაკიშვილი.** - „საბანკო საქმე“, თბ. 2010.
7. **კოვზანაძე ი.** - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. 4 გვ. 101-114.
8. **მუშკუდიანი ზ.** - „ბანკის საგადამხდელო სისტემის როლი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაში“. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2009, ნოემბერი, გვ. 58-59.
9. **მუშკუდიანი ზ.ვ-** „ვადაგადაცილებული სესხები, როგორც რეგიონალური მნიშვნელობის პრობლემა და მათი ამოღების ინოვაციური გზა“. ქუთაისის უნივერსიტეტი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „რეგიონალიზაცია, თანამედროვე რეგიონალური ეკონომიკური და სოციალური პროცესები“, ქუთაისი, 1-2 მაისი, 2010, გვ. 469-470
10. **მუშკუდიანი ზ.** - „საბანკო სექტორის მდგრადობის როლი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაში“. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამეცნიერო ნაშრომი, ქუთაისი, 2015.
11. **შონია ნ.** - გლობალიზაცია და საქართველოს საბანკო სისტემა, ჟ. „ეკონომიკა“, 2008, № 9. გვ. 218-221.
12. **ჭიჭიბოშვილი ნ.** - „საბანკო რისკები და მისგან დაზღვევის თანამედროვე მექანიზმების სამეცნიერო ნაშრომი“. თბილისი, 2019
13. საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონი. თბილისი, 2020

14. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ. თბილისი, 2020
15. www.abg.org.ge საქართველოს ბანკების ასოციაციის ვებგვერდი.
16. www.gse.ge საქართველოს საფონდო ბირჟის ვებგვერდი.
17. www.nbg.gov.ge საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდი.
18. www.statistics.ge საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი.
19. www.worldbank.org მსოფლიო ბანკის ვებგვერდი.
20. <http://diagency.ge/ka> საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო.
21. <https://ec.europa.eu/eurostat> ევროსტატის ვებგვერდი
22. <https://www.bpn.ge/article/65986-saertashoriso-savaluto-pondi-da-msoplio-banki-kveqnebs-koronavirusis-gadalaxvashi-daexmarebian/> საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი.
23. <https://for.ge/view/3646/msoflio-ekonomikuri-krizisi-dasaqarTvelo.html> საინფორმაციო, ანალიტიკური პორტალი.
24. <https://commerciant.ge/ge/> ეკონომილური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ვებგვერდი.
25. <https://www.worldbank.org/en/who-we-are/news/coronavirus-covid19-> მსოფლიო ბანკი ვებგვერდი
26. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2020/2020q3_geo_.pdf საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის ვებგვერდი